ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 27

9 თებერვალი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:30 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შოთა გრიგოლია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, აზეულას ქუჩის გაგრძელების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის ახალგორის ქუჩის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

12. **ქალაქ თბილისი, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილოძის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. **ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, 2022 წლის 5 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის ნუგზარ ხვედელიანის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი არქიტექტორის გია ქურდიანის სახელი. გია ქურდიანის სახელი უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის არქიტექტურასთან, სადაც ის დაიბადა და გაატარა მთელი ცხოვრება. მისი ავტორობით შექმნილია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული საფეხბურთო მოედანი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფილმსაცავის შენობა, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის შენობები, ხელოვნური ტბა და პარკი, სასტუმრო შალვა ნუცუბიძის ქუჩაზე, საგამოფენო დარბაზი-სახელოსნო ფანასკეტელის ქუჩაზე, ინტერიერები, დიზაინი, სიმბოლიკა, ჰერალდიკა და ა.შ.

გია ქურდიანი ღირსეული წარმომადგენელია ქურდიანების არქიტექტურული დინასტიისა, რომელსაც მე-19 საუკუნის ბოლოს სათავე დაუდო მისმა ბაბუამ, ცნობილმა ინჟინერ-არქიტექტორმა გიგო ქურდიანმა.

თბილისში გია ქურდიანის მამის, არჩილ ქურდიანის სახელობის ქუჩა არსებობს დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის სახელობის საფეხბურთო მოედანთან, რომლის რეკონსტრუქციის პროექტზეც მამა-შვილი ქურდიანები ერთად მუშაობდნენ. ხსენებული გარემოების გათვალისწინებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მამა-შვილის სახელობის ქუჩა ერთად არსებობდეს და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელი.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელი

2. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეორე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე მარიამ მაჩაიძის

განცხადება, რომლითაც ითხოვს 414 დივიზიის ქუჩასთან არსებულ სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა გოჩა მაჩაიძის საბრძოლო მოკვლევა. იგი 1992 წლის სექტემბრიდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით ირიცხებოდა „ავღანელთა“ ბატალიონის შემადგენლობაში და იბრძოდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიის ერთიანობისა და მთლიანობისთვის. 1993 წლის 27 სექტემბერს დაიღუპა სოხუმში მინისტრთა საბჭოს დაცვის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

გოჩა მაჩაიძე დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩის მიმდებარედ, კომისიამ შეისწავლა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტები, განმცხადებლის მიერ წერილში მითითებული სკვერის გარდა, უშუალოდ კორპუსთან გამავალი ქუჩა უსახელოა და მიზანშეწონილია მისი სახელდება, ქუჩისთვის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭება თემატური იქნება როგორც უბნისთვის, ასევე იქ მცხოვრები გოჩა მაჩაიძის მეგობრებისა და ნაცნობებისთვის.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ზურაბ ვადაჭკორიას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს პროფესორ გივი ჟვანიას სახელი. კომისიაში იგივე მოთხოვნით შემოსულია მოქალაქე ლევან ჟვანიას წერილი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გივი ჟვანია იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე, პედიატრიის ფაკულტეტის დეკანი. მის პროფესიულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება ბავშვთა ქირურგიის ეროვნული სკოლა, 150-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მონოგრაფიები, მეთოდური რეკომენდაციები, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც არის მისი სახელი, რომელსაც ღირსეულად ატარებს თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა.

გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში დამუშავდა გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქუჩათა ქსელები. დადგინდა, რომ ლუბლიანას ქუჩა მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას სანდრო ახმეტელის ქუჩიდან ჟვანიას კლინიკამდე, თუმცა ქუჩის გეგმარებითი დასასრული რეალურად მდებარეობს ნოდარ ბოხუას ქუჩის კვეთასთან. ბოხუას ქუჩიდან კლინიკამდე არსებული დაახლოებით 250 მეტრიანი მონაკვეთი, მის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩა, დისევის ქუჩის მონაკვეთი, მასთან არსებული უსახელო მონაკვეთი და ჩიხი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად და მიენიჭოს შესაბამისი სახელი.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ერთ ჩიხს და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელი.

4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, აზეულას ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოთხე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ირაკლი ციბაძის განცხადება, რომელიც ითხოვს დაბა კოჯრის მიმდებარედ საავტომობილო გზისთვის სახელის მინიჭებას, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს დასახლებულ პუნქტს და ქუჩის სახელის არქონა მაცხოვრებელთათვის და მიწათმესაკუთრეთათვის აფერხებს სხვადასხვა სახის მომსახურების მიღებას. განცხადებაში მითითებული ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ხოლო ნაწილი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტომ განიხილა განცხადება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის_რუკის მიხედვით, წარმოდგენილ ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა. ასევე აღნიშნული არეალი არ არის დაგეგმარებული-ტერიტორიაზე არ იკვეთება ქუჩათა ქსელის სტრუქტურა ორგანიზებული სახით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ არეალი მდებარეობს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული განაშენიანების კონტურს გარეთ, რომელიც წარმოადგენს საზღვარს ქალაქის განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელ ტერიტორიებს შორის და განისაზღვრება მის გარეთ არსებული ტერიტორიების საქალაქო სამშენებლო განვითარების შეზღუდვის პირდაპირ პირობად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს დადებითი პოზიცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხი ჩავარდა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - არცერთი

წინააღმდეგი - ოთხი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, აზეულას ქუჩის გაგრძელების საკითხი ჩავარდა.

5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციიდან წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სპორტის დამსახურებული ოსტატის, ევროპის ჩემპიონის, ცნობილი ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელი.

კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გიორგი სლივინის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ინტერაქტიულ რუკაზე - maps. gov.ge ნუცუბიძის ფერდობზე ავთო ვარაზის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მისამართების კორექტირებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხები. როგორც ცნობილია, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ 1976 წლის შედეგების მიხედვით დაამტკიცა სპორტსმენთა ათეული, სადაც თეიმურაზ კაკულია მეექვსე საუკეთესო სპორტმენად დასახელდა. მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ევროპის ოთხგზის ჩემპიონობა და ასევე არაერთი ჩემპიონის ტიტული.

რაც შეეხება ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე ტერიტორიას -იგი უსახელოა და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია სწორედ ამ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. კომისიაში შემოსულია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩევლის მინდია უგრეხელიძის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კონსტიტუციური დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის ბექა ქანთარიას წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ცნობილი ქართველი იურისტის რაჟდენ არსენიძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. რაჟდენ არსენიძე იყო პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

კომისია სისტემური მიდგომით ახორციელებს ისნის რაიონში, ყოფილი მელაანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას. მელაანის ქუჩას სახელი 2005 წელს შეეცვალა, თუმცა მელაანის ჩიხებისთვის და შესახვევებისთვის სახელების ცვლილება არ განხორციელებულა. გარდა ამისა გზათა ქსელების სახელდების არსებული მდგომარეობა არაა შესაბამისობაში ფაქტობრივ ვითარებასთან. მელაანის III შესახვევის მონაკვეთი,გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი, მელაანის I და II ჩიხები გეგმარებითი თვალსაზრით წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ქუჩას ჩიხებით და შესახვევებით, ამდენად მიზანშეწონილია მისი სახელდება. აღნიშნული ქუჩის პარალელურ ქუჩას კომისიის ინიციატივით მიენიჭა იურისტ დავით ხელთუფლიშვილის სახელი, ამდენად წინამდებარე ქუჩის სახელის შერჩევა მიზანშეწონილია განხორციელდეს თემატური კონტექსტის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის სახელი, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს რაჟდენ არსენიძის I ჩიხის სახელი, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს რაჟდენ არსენიძის I შესახვევის სახელი, ხოლო მელაანის I და II ჩიხებს მიენიჭოს რაჟდენ არსენიძის II და III ჩიხის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძიემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე რეზო ჩხაიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს ვარკეთილის მეურნეობაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელი

8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს რევაზ მამისაშვილის ქუჩაზე მდებარე ლუწი გეოგრაფიული ობიექტების სისტემურ ნუმერაციას.

საკითხთან დაკავშირებით სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას მოთხოვნის საფუძველზე კომისიამ შეისწავლა საკითხი და საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, რომ რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა. სახელდების გარეშე კი ვერ განხორციელდება მისამართების ნუმერაცია.

უსახელო გეოგრაფიული ობიექტები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის შესახვევებს. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნულ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მერვე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის ახალგორის ქუჩის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე მერაბ ბალაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ახალგორის სახელი.

კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ეთერ ქველაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ქართლის I შესახვევი #8-ის აღდგენას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია, სამისამართო სამსახურთან

ერთობლივი კონსულტაციის და ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ თმოგვის მეორე გასასვლელი და ქართლის II შესახვევი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად და ამ ქუჩის ჩიხად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელს მიენიჭოს ახალგორის ქუჩის სახელი, ქართლის II შესახვევს მიენიჭოს ახალგორის I ჩიხის სახელი, ხოლო ქართლის II შესახვევის სახელდებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყველა გადაწყვეტილება.

10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომელიც შუამდგომლობს მოქალაქე თამარ მესხს, რომელიც ითხოვს შანდორ პეტეფის ქუჩაზე სისტემური ნუმერაციის განხორციელებას.

2022 წლის 13 დეკემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი შანდორ პეტეფის ქუჩით დამისამართებული ობიექტების მისამართების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საქმისწარმოების პროცესში კომისიამ შეისწავლა შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები და დაადგინა, რომ ქუჩასთან მდებარე უსახელო

გეოგრაფიული ობიექტი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს არსებული ქუჩის შესახვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეათე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ჯონბო კუპატაძის განცხადება, რომლითაც მითითებული ერთეულის მიხედვით ითხოვს მისი საცხოვრებელი სახლის მისამართის კორექტირებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ საკადასტრო ერთეულს მისამართი მინიჭებული აქვს ღების ქუჩით, ღების ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მოქალაქის უძრავ ქონებას დაკავშირებული არაა ძირითად ქუჩასთან, მისამართამდე მისასვლელი ერთადერთი გზა მდებარეობს ჯვარის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მისი შესახვევად ჩამოყალიბება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ჯვარის I შესახვევის სახელი.

12. ქალაქ თბილისი, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილოძის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძიემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე მაია ბუთბაია ითხოვს იულია ფაილოძის ქუჩაზე მისამართების მოწესრიგებას.

კომისიამ განიხილა საკითხი და შეისწავლა ზემოაღნიშნული ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს იულია ფაილოძის ქუჩის უსახელო ჩიხებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილოძის ქუჩასთან მდებარე ოთხ უსახელო ჩიხს მიენიჭოს იულია ფაილოძის სახელი.

საჯარო სხდომაზე განხილული საკითხების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს ინიცირებისთვის წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის, საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, მამა-შვილის ზურაბ და მამუკა ბერიძეების სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე ერთი ჩიხისთვის

აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ.

9. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ.**
10. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთისთვის და გრიგოლ ხანძთელის I ჩიხისთვის სხვიტორის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.**
11. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის ქუჩისთვის გრიგოლ ხანძთელის სახელის მინიჭების შესახებ.**
12. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვაგზლის მოედნისთვის სადგური მოედნის სახელის მინიჭების შესახებ**

ნინო ვარდოსანიძემ პირველი საკითხის განხილვისას კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. იგი იყო ისტორიკოსი, ფილოლოგი, არმენოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, არის 130 სამეცნიერო ნაშრომისა და 15 წიგნის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი. კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს. სახელდებისთვის შეირჩა საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევი, რომელიც ჩამოყალიბდა ქუჩად და კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭება ზაზა ალექსიძის სახელი. ხსენებულ ქუჩაზე მდებარეობს ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტი.

მეორე საკითხი ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთ'ვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭებას შეეხება. იგი იყო აკადემიკოსი, ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. კომისიის წარმომადგენლების მიერ ადგილზე მოხდა გვაზაურის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა, გზათა ქსელების მომზადების პროცესში კონსულტაციები გაიმართა სამისამართო სამსახურთან, როგორც დგინდება, თანამედროვე დამისამართების უზრუნველსაყოფად აღნიშნული ტერიტორია

საჭიროებს სახელწოდებების დაზუსტებისა და გარკვეულ მონაკვეთებზე ცვლილებების განხორციელებას.

კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დედაქალაქში ალბერტ თავხელიძის ქუჩის არსებობა.

მესამე საკითხი შეეხება სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭებას. ჩინგიზ აითმათოვი სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ყირგიზული ლიტერატურის კლასიკოსად. მისი ნაწარმოები ნათარგმნია არაერთ ენაზე. ცნობილია, რომ ყირგიზეთში, ქ. ბიშკეკში არის შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა. ნაცვალგების პრინციპისა დ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს ჩინგიზ აითმათოვის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი.

მეოთხე საკითხი შეეხება დიდუბის რაიონში, ბათუმის შესახვევისთვის ქორეოგრაფის, რევაზ ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭებას. რევაზ ჭოხონელიძეს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში. 2002 წელს პარიზში, მას „თანამედროვე ქორეოგრაფიის მეტრი“ უწოდეს.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი. რომელიც შეეხება კერძოდ ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის, საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭებას. იგი იყო სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი და უცვლელი სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. საკითხის შესწავლის დროს ასევე გაირკვა, რომ იქ, სადაც ომარ კელაპტრიშვილი ცხოვრობდა, ქართული საზოგადოებისა და ანსამბლ „რუსთავის“ თხოვნით კეთილმოეწყო სკვერი. სკვერში განთავსდა ხელოვანის ბიუსტიც, თუმცა სკვერის სახელდებასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხით ვაკის რაიონში, წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭება აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელი. ვეფხო მათიაშვილი 1992 წელს წავიდა აფხაზეთში საქართველოს მიწის დასაცავად. 1993 წლის 1 მარტს სოფელ ლაბრასთან ერთ-ერთი მძიმე საბრძოლო შეტაკების დროს, თავისი თანამებრძოლების გადარჩენისას ტყვედ აიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა და საშინლად აწამეს.

ნოდარ მათიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა მეშვიდე საკითხი. ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის II ჩიხს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, მამა-შვილის ზურაბ და მამუკა ბეროძეების ქუჩის სახელის მიენიჭება. საბრძოლო მოკვლევის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მამუკა ბეროძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ოჯახთან სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაირკვა, რომ მამა, ზურაბ ბეროძე შვილთან ერთად იბრძოდა აფხაზეთის ომში, სადაც გმირულად დაიღუპა. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

ასევე აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის, ემზარ გელანტიას სახელი მიენიჭება ვაკის რაიონში, თხინვალას დასახლებაში, სოლომონ ავალიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან მდებარე ერთ გასასვლელს.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო სამი საკითხი შეეხება გლდანის რაიონში განხორციელებულ სახელდებებს.

კომისიამ შეხვედრა გამართა ავჭალის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის წარმომადგენლებთნ. შეხვედრაზე სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ტაძარი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის სახელს ატარებს, მდებარეობს ავჭალის ქუჩაზე. ტაძრის მრევლის და ადგილობრივი მოსახლეობის სურვილია, ავჭალის ქუჩას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს გრიგოლ ხანძთელის სახელი. ე.წ. ზაჰესის დასახლებაში, სადაც ტაძარი მდებარეობს, ალექსანდრე მანაგაძის ქუჩის გაგრძელებაზე რამდენიმე ათეულ მეტრიანი ქუჩა ატარებს გრიგოლ ხანძთელის სახელს. გეგმარებითი პარამეტრების მიხედვით, ხსენებული ქუჩის მონაკვეთი რეალურად ალექსანდრე მანაგაძის ქუჩის გაგრძელებაა, ხოლო გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მონაკვეთი და I ჩიხი წარმოადგენს სხვიტორის ქუჩის შესახვევს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო საკითხი ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედნისთვის სადგური მოედნის სახელის მინიჭებას შეეხება. კომისიაში საქართველოს ფოსტის წარმომადგენლის ზეპირი მომართვის საფუძველზე დამუშავდა ინფორმაცია თბილისში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული მოედნის სახელწოდებასთან დაკავშირებით. მოედანი ატარებს „ვაგზლის მოედნის“ სახელს. კომისიამ იმსჯელა ხსენებულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული გეოგრაფიული ობიექტისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭება.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე